

5-1

ნ ა ს ყ ი დ ო ბ ი ს ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
ხ ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო

დ. თბილისი.

23 დეკემბერი 2009.წ

ჩვენ, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, (შემდგომში "გამყიდველი") - წარმოგზავნილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის - ნათია მელელაშვილის სახით, მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 15 დეკემბრის №21/1630/1-9 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, და მეორე მხრივ ფიზიკურ პირ ლაშა პაპაშვილს (პირადი №01008006654), (შემდგომში "მყიდველი") ვხელმძღვანელობთ რა, „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ" საქართველოს კანონით; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.07წ 1-1/1415 ბრკანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულებით"; საქართველოს კრედიტების 2009 წლის 14 დეკემბრის №891 განკარგულებით, წინამდებარე ხელშეკრულებას ვდებთ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. "გამყიდველი" მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გადასცემს, ხოლო "მყიდველი" იღებს პირობადებულ საკუთრებაში აღიზენის მუნიციპალიტეტში, დაბა აბასთუმანში, „ალოვილის დასახლებაში" მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ:

- 642 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №61.11.21.050) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს.
- 71488 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №61.11.21.051) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს.
- 501 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №61.11.21.052) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას.
- 786 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №61.11.21.053) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას.

5-2

- 408 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №61.11.21.054).
- 936 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №61.11.21.055) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს.
- 4237 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №61.11.21.049) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას (შემდგომში წოდებული, როგორც „ქონება“).

1.2. „ქონების“ საპრივატიზაციო ღირებულება შეადგენს სიმკოლუხად 1000 (ათასი) ლარს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 2.1 „მყიდველი“ ვალდებულია:
- ა) საპრივატიზაციო ღირებულება გადაინახლოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში.
 - ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის განმავლობაში უზრუნველყოს სასტუმროს ტიპის დასასვენებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურის ~~განვითარების მიზნით ეტაპობრივად 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება (პირველი ორი წლის განმავლობაში - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის, ხოლო შემდგომი ორი წლის განმავლობაში 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ინვესტიცია).~~
 - გ) ამ ხელშეკრულების 2.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული პირობის განხორციელების შემდეგ (სასტუმროს ფუნქციონირებისათვის) 10 ადამიანის დასაქმება არანაკლებ 3 წლის ვადით.

Handwritten notes:
 1. ნაპრივატიზაციო ღირებულება
 2. შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან
 3. ინვესტიციის განხორციელება
 4. დასაქმება

2.2 „მყიდველი“ ვალდებულია „ქონებაზე“ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და მათ შესრულებაზე გამყიდველს წარუდგინოს ინფორმაცია 6 თვეში ერთხელ და ასევე გამყიდველის მოთხოვნისთანავე შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანხლებით.

2.3 „გამყიდველი“ ვალდებულია „მყიდველს“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზაციო ღირებულების სრულად დაფარვის შემდეგ, 30 კალენდარული დღის ვადაში დაუდასტუროს საკუთრების უფლება, მის მიერ გამოსყიდულ ქონებაზე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების პირობით.

2.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება მყიდველის მიერ მათ შესრულებაზე შესაბამისი ინფორმაციის წარდგინება და გამყიდველის მიერ მათი დამადასტურების შემდეგ.